



აკაკი შანიძე - 133

პროგრამა

და

თეზისები

2020 წლის 26 თებერვალს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის
სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი მართავს აკადემიკოს

აკაკი შანიძის

ხსოვნისადმი მიძღვნილ საჯარო სხდომას

დასაწყისი 12 საათზე

მისამართი: თსუ, I კორპუსი

აუდიტორია N 202

რეგლამენტი 15 წუთი

შესავალი სიტყვა - დარეჯან თვალთვაძე

1. **მზექალა შანიძე** - ვახტანგ მეექვსის სტამბაში დაბეჭდილი „დავითნის“ წყაროს შესახებ
2. **დამანა მელიქიშვილი** - გელათის აკადემია - „სხუა ათინა და მეორე იერუსალიმი“ - სასწავლებელი ყრმათათვის (წიგნის პრეზენტაცია)
3. **დარეჯან თვალთვაძე** - გვიან რედაქტირებული ოთხთავის კიდევ ერთი ხელნაწერი ათონური კოლექციიდან (Ath. 83)
4. **ანა ხარანაული** - ეზრას აპოკალიფსის ვერსიები და მისი ქართული თარგმანი
5. **ლელა ციხელაშვილი** - ა-კითხვითნაწილაკიანი ერთი ტიპის ფორმების შესახებ ძველ ქართულ ენაში
6. **სალომე ოშიაძე** - ლექსება „ნაწილის“ მნიშვნელობისათვის ერთ იდიომურ გამოთქმაში

დამანა მელიქიშვილი

გელათის აკადემია - „სხუა ათინა და მეორე იერუსალიმი“ - სასწავლებელი ყრმათათვის (წიგნის პრეზენტაცია)

წინამდებარე ნაშრომი (ავტორი ემერიტუსი პროფესორი დ. მელიქიშვილი) წარმოადგენს დამხმარე სახელმძღვანელოს ძველი ქართული თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის, ენათა ინტერფერენციების, ასევე, აღმოსავლურ ქრისტიანული ფილოლოგიის, ტექსტოლოგიისა და გამოცემის ფილოლოგიის კურსის მსმენელი (ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის) სტუდენტებისათვის. ამ კურსის მიზანია მსმენელი-სტუდენტების ჩართვა და მონაწილეობა სახელმძღვანელოს შექმნის პროცესში, რათა ლექცია-სემინარებზე მიღებულ თეორიულ ცოდნასთან ერთად უფრო ღრმად გაეცნონ შესასწავლ ტექსტებთან დაკავშირებულ სამეცნიერო ლიტერატურას, პრაქტიკაში დაეუფლონ ძველი ქართული ტექსტების გამოცემასთან დაკავშირებულ საქმეს – ტექსტის ანალიზს, გამართვას, კორექტირებას და თავადვე მიიღონ მონაწილეობა კურსის დამხმარე სახელმძღვანელოს – ქრესტომათიის შექმნასა და გამოცემაში, რაც წლების განმავლობაში სხვადასხვა თაობის სტუდენტების მონაწილეობით (საკურსო, საკონფერენციო და სადიპლომო შრომების სახით) ხორციელდებოდა და დღესაც წარმატებით გრძელდება.

სახელმძღვანელოს I ტომი სტუდენტებს წარმოდგენას შეუქმნის ძველი ქართული თარგმანის ისტორიაზე, ტერმინშემოქმედებაზე, ზოგადად ენობრივ სტილსა და თარგმანის ხელოვნებაზე; II ტომში წარმოდგენილი იქნება ელინოფილ მთარგმნელ-ავტორთა ტექსტების ამონარიდები მოკლე ანოტაციებით, რომელთა შორის სტუდენტთა სხვადასხვა თაობის საკონფერენციო, საკურსო თუ სადიპლომ ნაშრომებიც იქნება ჩართული.

დარეჯან თვალთვამე

გვიან რედაქტირებული ოთხთავის კიდევ ერთი ხელნაწერი ათონური კოლექციიდან (Ath. 83)

ათონის მთაზე, ივირონის მონასტრის წიგნთსაცავში, ოთხთავის ქართული თარგმანის შემცველი შვიდი ხელნაწერი ინახება (Ath.15; Ath.53; Ath.62; Ath.67; Ath.75; Ath.83, Ath.91). მათგან ხუთი (Ath.15; Ath.53; Ath.67; Ath.75, Ath.91) გიორგი ათონელისეულ ტექსტს შეიცავს, ერთს (Ath.62) ტექსტზე გვიანდელი მწიგნობრის მუშაობის და გიორგის რედაქციის მიხედვით სწორება-რედაქტირების კვალი ეტყობა, ერთი კი (Ath.83), ოპიზის ოთხთავი, წინათონური (პროტოვულგატური) რედაქციის შემცველ ხელნაწერთაგან ყველაზე ძველი თარიღიანი ნუსხაა და ბევრი თვალსაზრისით გამორჩეული და საინტერესო ხელნაწერია. 913 წელს ოპიზაში ეტრატზე ასომთავრულით დაწერილი ეს მანუსკრიპტი სრულად შეიცავს მარკოზის, ლუკასა და იოანეს სახარებებს. ტექსტოლოგიური კვლევის შედეგად დადგენილია, რომ ოპიზის ოთხთავი ერთ-ერთი უძველესია იმ ხელნაწერთა შორის, რომელიც ე. წ. ჯრუჭ-პარხლის რედაქციის (პროტოვულგატას) ტექსტს შეიცავს, ამიტომაც ხშირად ტექსტის ამ ტიპს ოპიზურ რედაქციადაც მოიხსენიებენ. თუმცა უნდა ითქვას, რომ განსხვავებით ჯრუჭისა და პარხლის ოთხთავებისაგან, რომლებიც აკაკი შანიძის გამოცემით (1945 წ.) მკვლევართათვის ხელმისაწვდომია, ოპიზის ოთხთავის ტექსტი ცალკე გამოცემული არ არის და არც მისი კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიური თავისებურებანია გამოწვლილვით შესწავლილი.

მანუსკრიპტს 1898 წელს ათონის მთაზე სამეცნიერო ექსპედიციის დროს მიაკვლია ნ. მარმა. მანვე გამოაქვეყნა პირველი ცნობები ამ საინტერესო ძეგლის შესახებ, ხოლო ტექსტის პირველი პუბლიკაცია (მათეს და მარკოზის სახარებების) ტბეთის ოთხთავთან (995 წ.) ერთად ეკუთვნის ვლ. ბენეშევიჩს (1909-1911 წწ.). ხელნაწერი აღწერილი აქვს რ. ბლეიკს (1932 წ.). ოპიზის ოთხთავში დაცული ტექსტის რაობისა და სხვა ხელნაწერებთან (ძირითადად, ჯრუჭის, პარხლის და

ტბეთის ოთხთავებთან) მისი მიმართების შესახებ ყველაზე ვრცელ მსჯელობას აკაკი შანიძესთან ვხვდებით, რომელსაც ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქციის სამი შატბერდული ხელნაწერის (ადიშის, ჯრუჭისა და პარხლის ოთხთავების) მიხედვით გამოცემულ სახარებათა ტექსტზე დართულ ვრცელ გამოკვლევაში (1945 წ.) ოთხთავის სხვა ძველ ნუსხებთან ერთად ოპიზის ოთხთავის ტექსტური მასალაც მოჰყვას საილუსტრაციოდ (ოპიზის ოთხთავი აღნიშნული აქვს A ლიტერით). ხელნაწერს და მასში დაცულ ტექსტს შემდეგშიც არაერთი ქართველი მეცნიერი შეჰხეხია, მაგრამ იმის გამო, რომ მანუსკრიპტის ადგილზე შესწავლა გარკვეული მიზეზების გამო არ ხერხდებოდა, მისი კვლევა მხოლოდ ფოტოპირების (ხშირად არც თუ ისე კარგი ხარისხის ფოტოასლების) მიხედვით ხდებოდა. გერმანულ-ქართულ-ფარანგული საერთაშორისო სამეცნიერო პროექტის ფარგლებში (GeoPal), რომელიც ივირონის მონასტერის წიგნთსაცავში დაცული ქართული ხელნაწერების ანალიტიკური აღწერილობის მომზადებას და იქ დაცული პალიმფსესტების შესწავლას გულისხმობს, გერმანელი ქართველოლოგის იოსტ გიპერტის მიერ მოწოდებული მაღალი ხარისხის ციფრული ფოტოასლების დამუშავების შემდეგ, შეიძლება ითქვას, რომ ოპიზის ოთხთავის ტექსტზე დაკვირვებამ ბევრი ისეთი საყურადღებო ფაქტი გამოავლინა, რაც აქამდე ნაკლებად იყო ცნობილი და რომელიც აღნიშნული ტექსტის გამოცემის, ან მისი სხვა ხელნაწერებთან შედარების დროს აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული.

ხელნაწერის ციფრულ ასლებზე კარგად ჩანს, რომ Ath.83-ის ეტრატის ფურცლები გაცრეცილია და მელანი ბევრ ადგილას გადალეულია. მის აღდგენაზე უმუშავია გვიანდელ მწიგნობარს, რომელსაც ხელნაწერის ბევრი ფურცელი გაუცხოველებია (სრულად ან ნაწილობრივ). გამცხოველებელი შავი ფერის მელნით მუშაობს და ცდილობს ხელნაწერის გადამწერის, გრიგოლ ოპიზელის მიერ მუქი ყავისფერი მელნით გამოყვანილი ასომთავრული ასოების მოხაზულობა გაიმეოროს, რასაც ზოგჯერ კარგად, უფრო ხშირად კი ნაკლები ოსტატობით ახერხებს. გარდა გაცხოველებული ადგილებისა, ხელნაწერში აშკარად ჩანს ასევე გვიან შავი ფერის მელნით, ოღონდ ნუსხური ასოებით გასწორებული ადგილები, რაც ხელნაწერის თავდაპირველ ტექსტზე გვიანდელი მწიგნობრის რედაქტორულ მუშაობას ადასტურებს (წაშლილია ძველი და გადაწერილია ახალი, ამოფხეკილია სიტყვები, მარცვლები, ასოები ან ჩამატებულია სიტყვები, მარცვლები, ასოები და ა. შ.). ხელნაწერის კორექტირებული ადგილების შედარებამ ოთხთავის სხვა ხელნაწერებთან მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ოპიზის ოთხთავის თავდაპირველი ტექსტი (აღნიშნულია ლიტერით O) გასწორებულია გიორგი ათონელის რედაქციის მიხედვით. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი ჩარევის შედეგად მიღებული კორექტირებული ტექსტი (O^c) ზოგჯერ უმიშვნელოდ,

მაგრამ მაინც სხვაობს გიორგისეული ტექსტისგან და წინათონური რედაქციის სხვა ნუსხების წაკითხვას იმეორებს.

ანა ხარანაული

ეზრას აპოკალიფსის ვერსიები და მისი ქართული თარგმანი

ეზრას აპოკალიფსი, რომლის ებრაული და ბერძნული დედნები შემონახული არ არის, ჩვენამდე ლათინური, სირიული, არაბული, ეთიოპური, სომხური და ქართული თარგმანებით არის მოღწეული. ყველა ეს თარგმანი ტექსტის ერთმანეთისაგან ფორმალურად და შინაარსობლივად განსხვავებულ ვერსიებს წარმოადგენს.

ტექსტუალური მრავალფეროვნება ორგვარად შეიძლება აიხსნას: 1. ტექსტის განსხვავებულობა გამოწვეულია მთარგმნელ(ებ)ის მიერ ტექსტის თავისუფალი ინტერპრეტაციით და 2. ცალკეული ტექსტუალური ფორმა ტექსტის სინქრონული და დიაქრონული განვითარების სხვადასხვა სტადიას ასახავს.

ეზრას აპოკალიფსის ქართული თარგმანი ავსებს სხვა ვერსიების მიერ დახატულ საერთო სურათს და დამაჯერებლად აჩვენებს, რომ ვერსიებს შორის არსებული განსხვავებები არ არის თარგმანის ტექნიკით გამოწვეული და, რომ ისინი განსხვავებული ბერძნული დედნებიდან მომდინარეობენ. ეს დედნები სხვადასხვა წერილობით გამოცემებს (Literary editions) ასახავენ, რომლებიც უკვე ებრაულად უნდა არსებულებოდა. ამგვარი, ერთმანეთისაგან განსხვავებული ებრაული ტექსტუალური ფორმები ბერძნულად ითარგმნა. შემდგომში ამ თარგმანებმა არაერთი გადაამუშავება განიცადა.

ქართული თარგმანი სწორედ ერთ-ერთი ამგვარი გამოცემის შთამომავალია, იგი აკავშირებს ეზრას აპოკალიფსის სხვადასხვა ვერსიას და წარმოაჩენს ბიბლიური წიგნის ტექსტის წარმოქმნისა და განვითარების კომპლექსურობას.

ლელა ციხელაშვილი

-აკითხვითნაწილაკიანი ერთი ტიპის ფორმების შესახებ ძველ ქართულ ენაში

თუკი ახალ ქართულ ენაში კითხვით წინადადებაში კითხვითობას, ძირითადად, ინტონაცია (კითხვითი ტონი) განსაზღვრავს და, ამდენად, მისი მარკირება კითხვითი სიტყვით ან კითხვითი ნაწილაკით აუცილებლობას არ წარმოადგენს, ძველი ქართულისთვის კითხვითობის მარკირება ოდენ ინტონაციით არ იყო ბუნებრივი, ამიტომ მის გამოსახატავად ორი ალტერნატიული

საშუალება არსებობდა: 1. კითხვითსიტყვიანი, რომელთანაც შეუთავსებელი იყო -ა კითხვითი ნაწილაკი („*ვინაჲ მოხუდით, მოგუნო?*“ [უძვ. იადგ. 14:6]); 2. არაკითხვითსიტყვიანი, რომელშიც კითხვითობას, ძირითადად, -ა ნაწილაკი გამოხატავდა („*არა მისი განზრდილი ხარა?*“ [შუმ.18:7]).

როგორც ძველი, ისე საშუალო ქართულის წერილობით ძეგლებში სპორადულად დასტურდება შემთხვევები, როდესაც კითხვით წინადადებაში -ა კითხვითი ნაწილაკი, ერთი შეხედვით, მრჩობლადაა გამოყენებული (მაგ., „*კეთილისა ამისთვის სტირა, ხუცეს?*“ [შუმ. 22:6-7 A]. *სტირაა* H. *სტირ* F), უფრო ზუსტად, ერთი წარმოდგენს კითხვით ნაწილაკს, ხოლო მეორის ფუნქცია დასაზუსტებელია. აღნიშნული ტიპის ფორმებზე არაა საუბარი ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში. *სტირაა* ტიპის ფორმების გამოვლენაში შენიშნული კანონზომიერება იძლევა საფუძველს, ისინი ჩაითვალოს არა, უბრალოდ, გადაძწერის მექანიკურ შეცდომად, არამედ ლოგიკური ახსნა მოეძებნოს ამ მოვლენას.

ა) ამ ტიპის ფორმები შეიძლება ჩაითვალოს ე.წ. **ფსევდოგრამატიზებული დაწერილობის** ნიმუშად, კერძოდ, იმ ფორმების ანალოგიით გაჩენილად, რომლებშიც მეორე -ა-ს ეძებნება კონკრეტული მორფოლოგიური ფუნქცია (მაგ., „*ანუ განამრავლაა ლოცვაჲ, ვითარ-იგი ელია?*“ [სინ. მრავ. 131:3]).

ბ) იკვეთება **ფონოლოგიური** შეპირობებულობაც. ჩვენი დაკვირვებით, ორი ა თავს იჩენს თანხმოვანზე დაბოლოებულ ზმნებთან, ანუ დახურული მარცვლის მომდევნოდ (*გონიესაა, ხარაა, მოკვედაა...*), ხმოვანზე დაბოლოებულ ზმნებთან ამის საჭიროებაა არაა (*სძლეა, მეყოა...*). ამ შემთხვევაში საცნაურია -ა კითხვითი ნაწილაკის კონკრეტული ბუნება, დაუკავშირდეს ღია მარცვალს, ხოლო თანხმოვანზე დაბოლოებულ ზმნებს - არა უშუალოდ, არამედ ე.წ. მარცვალთლიაობის -ა-ს (ალ. ფოცხიშვილი) საშუალებით (*გონიეს-ა-ა?*).

წერილობით ძეგლებში *სტირაა* ტიპის ფორმების სპორადულად გამოვლენა გვაფიქრებინებს, რომ ისინი არა, ზოგადად, სამწერლობო ქართულის, არამედ მისი დიალექტების ერთი წყებისთვის დამახასიათებელი მოვლენა უნდა ყოფილიყო და ამ გზით შეეღწია სამწერლობო ქართულშიც.

სალომე ომიამე

ლექსემა „ნაწილის“ მნიშვნელობისათვის

ერთ იდიომურ გამოთქმაში

ცნება „უჭმელობა“ / „უჭმელად ყოფნა“ ქართულში მრავალგზის რეალიზებულია როგორც მარტივი და რთული სიტყვებით, ასევე მყარი შესიტყვებებით. ერთ-ერთი მათგანია იდიომური გამოთქმა „**პირში ნაწილი არ ჩასვლია**“. აღნიშნული ფრაზეოლოგიზმის შინაარსი ერთნაირადაა განმარტებული ქველსა და თ. სახოკიას ქართულ ხატოვან სიტყვა-თქმათა ლექსიკონში, მის

მნიშვნელობად „არაფერი უჭამიას“ ასახელებს ბიძინა ფოჩხუაც საკუთარ წიგნში „ქართული ენის ლექსიკოლოგია“, თუმცა ამ სამ წყაროში ერთნაირად არ არის გაგებული იდიომის კომპონენტ-ლექსემა „ნაწილი“.

პირველი ორი წყაროს მიხედვით, იდიომურ გამოთქმაში „ნაწილი“ პირდაპირი მნიშვნელობითაა გამოყენებული და „რისამე უმცირესი განაყოფის“ (ამ შემთხვევაში „პურის ნატეხის“) აღმნიშვნელია, რასაც ბ. ფოჩხუა არ იზიარებს. მეცნიერის აზრით, სინტაგმაში სიტყვა „ნაწილი“ „იხმარება იმ მნიშვნელობით, რომელიც ამჟამად მოძველებულია და ქართული ლექსიკური ფონდის პერიფერიაში დგას. ესაა შემოკლება „წმინდა ნაწილისა“, რომელიც „ზიარებას“ აღნიშნავს“.

იდიომის ფორმოზრივ-სემანტიკურ სტრუქტურას ორივე წაკითხვა ესადაგება. ჩვენ პირველს ვემხრობით. ქართულ დისკურსში ხშირად გვხვდება სიმცირის ეტალონების შემცველი უარყოფითი კონსტრუქციები, რომლებშიც სიმცირის სხვადასხვა ეტალონი მნიშვნელობით „არაფერს“ უტოლდება (მაგალითად: „თითზე გადასახვევი არ წაუღია“ – ‘არაფერი (არ) წაუღია’; „ფრჩხილი არ წამოსტკივებია“ – ‘არაფერი (არ) სტკენია’ / ‘არაფერი (არ) გასჭირვებია’ და მისთ.). ამდენად, მოხსენებაში სათანადო ენობრივი მასალის მოხმობით შევეცდებით საანალიზო იდიომურ გამოთქმაში ლექსემა „ნაწილის“ ეტალონური (და არა საკრალური) მნიშვნელობით გამოყენება დავადასტუროთ.